პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

სკკ ბ. ბ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და სკკ სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი, 27 აგვისტო, 1943 წ. № 180 (6805). ფასი 20 კაპ.

საბჭოთა იარაღის სახელოვანი გამარჯვება

„პრავდის“ მოწინავე—26 აგვისტო

წითელ, სადღესასწაულო დღედ აღინიშნება 1943 წლის 23 აგვისტო სამამულო ომის გმირულ მატიანეში. ამ დღეს წითელი არმიის მამაცმა ნაწილებმა გაანადგურეს ბრძოლების შემდეგ გასტეხეს მტრის წინააღმდეგობა და იერიშით აიღეს ქალაქი ხარკოვი.

ამ დღეს მთელი საბჭოთა ქვეყანა სასიხარულო მღელვარებით, სიამაყითა და ზეიმით ისმენდა უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის მარშლის ამხანაგ სტალინის ბრძანებას. ამ დღეს სამშობლოს სახელით მოსკოვმა სალუტი მისცა ჩვენს გმირ ჯარებს, რომლებმაც გაათავისუფლეს ხარკოვი, და 224 ქვემენის ზალპმა გამოხმაურება ჰპოვა საბჭოთა ხალხის მილიონობით გულში.

დაუვიწყარი, ღირსშესანიშნავი დღე! შმობლიური ხარკოვი დაუბრუნდა საბჭოთა ქალაქების ოჯახს. წითელი დროშა კვლავ აღიმართა უკრაინის მეორე დედა ქალაქზე. გიგანტური ბრძოლა საბჭოთა იარაღის ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა. თვით გერმანელებმა უწოდეს ხარკოვს უკრაინის აღმოსავლეთის ჭიშკარი, უკრაინის კარზე დადებული ბოქლომი, უკრაინის გასაღები. წითელი არმიის გამარჯვებამ გასტეხა გერმანელების ბოქლომი, ფართოდ გაალო ჭიშკარი და საბჭოთა განმათავისუფლებელი იარაღის წინაშე გადაშალა უკრაინის მიწა-წყლის სივრცეები.

ხარკოვთან განადგურებულ იქნენ გერმანელთა რჩეული დივიზიები, ჩაიშალა ჰიტლერის გეგმა გამოეყენებინა უკრაინა, როგორც გერმანიის ყაჩაღური არმიის მომარაგების ბაზა. დნეპრზე იწყება უკრაინის განთავისუფლების ბრწყინვალე განთიადი. დატანჯული და განაწამები საბჭოთა ადამიანები მის როგორც მარცხენა, ისე მარჯვენა ნაპირზე სულგანაბულნი უსმენენ აღმოსავლეთიდან მომავალ სასიხარულო ცნობებს. ეს ცნობები ახალ ძალებს შეჰმატებს უკრაინელ პარტიზანთა მამაც გულს.

ხარკოვის განთავისუფლება ახალ ეტაპს ნიშნავს წითელი არმიის ბრძოლაში. ივლისში ჩაშლილ იქნა გერმანელების შემოტევა, რომელსაც ისინი ნახევარი წლის განმავლობაში ამზადებდნენ. ჰიტლერელები ცდილობდნენ გერმანელები ენუგეშებინათ მით, რომ გერმანიის არმიის ძალა ამჟამად თითქოს თავდაცვაშია. ივლის-აგვისტოში წითელმა არმიამ გერმანელებს ეს იმედიც წაართვა. „ელასტიური თავდაცვა“ ჰიტლერელი ვაი-სტრატეგების ახალი იაფფასიანი მითი აღმოჩნდა. გერმანელებმა მარცხი განიცადეს შემოტევის დროს, მარცხი განიცადეს თავდაცვის დროსაც.

ხარკოვისათვის ბრძოლებმა კიდევ ერთხელ გვიჩვენა საბჭოთა სტრატეგიის უპირატესობა გერმანულ სტრატეგიასთან შედარებით, საბჭოთა სამხედრო ხელოვნების უპირატესობა გერმანულ სამხედრო ხელოვნებასთან შედარებით. ქალაქ ხარკოვის „დაკავებისათვის წარმოებულ შეტევითს ბრძოლებში ჩვენმა ჯარებმა გვიჩვენეს მაღალი საბრძოლო გაწვრთნილობა, სიმამაცე და მანევრირების უნარი“. — ნათქვამია უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის მარშლის ამხანაგ სტალინის ბრძანებაში.

სამამულო ომის მესამე წელს წითელი არმია მსოფლიოს უჩვენებს სამხედრო ოსტატობის იმ სკოლას, რომელიც მან გაიარა ორი წლის განუწყვეტელ ბრძოლებში თავისი ბელადისა და მხედართმთავრის დიდი სტალინის ხელმძღვანელობით. წითელი არმია აღფრთოვანებულია მშობლიური მიწა-წყლის განთავისუფლების მაღალი ამოცანებით. მან უდიდესი გამოცდილება შეიძინა. იგი გამოეწრთო ბრძოლებში. მან აღზარდა შესანიშნავი გენერლები, ოფიცრები, სერჟანტები. წითელი არმია იმარჯვებს, იმიტომ რომ მას ახასიათებს საბჭოთა ხალხის საუკეთესო თვისებები, იმიტომ რომ სამხედრო საქმეში შეაქვს ნიჭი, ჭკუა, ინიციატივა, საბჭოთა ხალხის კეთილშობილება.

დივიზიებმა, რომლებმაც გაათავისუფლეს ხარკოვი, სასახელო ბრძოლებში დაიმსახურეს საპატიო წოდება „ხარკოვის დივიზიებისა“. ეს სიტყვები დიდებული საგმირო საქმეების გამოხატულებაა. მოგონება ხარკოვისათვის ბრძოლების შესახებ წმიდა ტრადიციად შევა დივიზიების საბრძოლო ისტორიაში, ის წარმოშობს ახალ საგმირო საქმეებს. მას მივყევართ ახალ სასახელო საქმეებისაკენ.

ხარკოვისათვის ბრძოლების ღირსშესანიშნავ თვისებას წარმოადგენს წითელი არმიის ნაწილების ოსტატური ურთიერთმოქმედება. არტილერისტები, მფრინავები, ტანკისტები, მსროლელები მოქმედებდნენ როგორც ერთიანი ოჯახი. ისინი ეხმარებოდნენ ერთმანეთს. ერთიმეორის შემვსებად გამოდიოდნენ. არტილერია და ავიაცია ყოველთვის ნახულობდნენ საერთო ენას და ექვემდებარებოდნენ ერთიან გეგმას, ერთიან ნებისყოფას.

ჩვენი ქვეყანა მოესალმება საბჭოთა კავშირის ახალ გმირებს, მიესალმება საბჭოთა კავშირის ორგზის გმირებს. მათი საგმირო საქმეები დევგმირული ხასიათისაა. საბჭოთა კავშირის ორგზის გმირის, გვარდიის პოდპოლკოვნიკ ვ. ა. ზაიცევის საავიაციო პოლკმა წლის დასაწყისიდან მტრის 150-მდე თვითმფრინავი ჩამოაგდო. მათ შორის პირადად პოდპოლკოვნიკმა ზაიცევმა ჩამოაგდო 25 თვითმფრინავი. ამ პოლკის 8 თვითმფრინავმა, გვარდიის კაპიტან ნ. პ. დმიტრიევის მეთაურობით ამ დღეებში ერთი თავდასხმის დროს ჩამოაგდო და მიწაზე მოსპო მტრის 16 თვითმფრინავი.

გაათავისუფლეს რა ხარკოვი, ხარკოვის სახელოვანი დივიზიები წითელი არმიის სხვა ნაწილებთან ერთად მიიწევენ წინ, დასავლეთისაკენ. ბრძოლები გრძელდება. მთელი ჩვენი ქვეყანა, მთელი მსოფლიო თვალ-ყურს ადევნებენ წარმოებულ ბრძოლებს. წითელი არმია გერმანიის თითქმის მთელ სამხედრო სახმელეთო მანქანასთან ორთაბრძოლაში ჰკაფავს გზას გადამწყვეტი გამარჯვებისაკენ, საბჭოთა მიწა-წყალზე ოკუპანტების სრული განადგურებისაკენ.

საბჭოთა ხალხი აკეთებს ყოველივეს, რათა მოაახლოვოს გამარჯვების ნათელი ჟამი. მძლავრია ჩვენი ქვეყნის გამოხმაურება ხარკოვის განთავისუფლებაზე, ამხანაგ სტალინის ბრძანებაზე, მოსკოვის საზეიმო სალუტზე.

თავის სასიხარულო აღფრთოვანებას საბჭოთა ხალხი საქმედ აქცევს. მშრომელთა მიტინგები ყველგან მთავრდება საზეიმო ვალდებულებათა აღებით —გაადიდონ ფრონტისათვის პროდუქციის გამოშვება, სტალინური ვახტები —ეს არის შრომის სალუტი მოსკოვის ქვემეხთა სალუტის საპასუხოდ. საკოლმეურნეო სოფელი ქალაქებს არ ჩამორჩება. მრავალსიტყვიანობა საბჭოთა ხალხის ჩვეულება როდია. ერთსულოვნება სამშობლოსათვის ფიცდადებულ შრომაში—აი ღირსეული გამოხმაურება ფრონტის ერთსულოვნებაზე.

ქარხანაში, რომლის დირექტორი არის ამხ. ეფზლოვი, ცვლის ოსტატი ლასკავი ამბობდა:

— ხარკოვში კვლავ ფრიალებს წითელი დროშა. უკრაინის მეორე დედაქალაქი განთავისუფლებულია გერმანელი ფაშისტი არამზადებისაგან. ამას ჩვენ ახალი შრომითი საგმირო საქმეებით უნდა ვუპასუხოთ. ვალდებულებას ვიღებთ აგვისტოს გეგმა დღესვე შევასრულოთ.

ამხანაგ ლასკავის ცვლის ვალდებულება შესრულებულია.

ასეა მთელ ჩვენს ქვეყანაში. ბრწყინვალე გამარჯვებებით აღფრთოვანებულმა ჩვენმა ხალხმა იცის, რომ ბრძოლა საძულველი მტრის წინააღმდეგ ფართოვდება და ჩაღდება, რომ წითელმა არმიამ ჯერ კიდევ საკმაო დიდი და მძიმე გზა უნდა გაიაროს, რომ მტერი ჯერ კიდევ ძლიერი და ჯიუტია, რომ საჭიროა ძალების ახალი დაჭიმვა, რომ ერთი წუთითაც არ შეიძლება დავმშვიდდეთ.

ამ დღეებში საბჭოთა კავშირის ხალხები განსაკუთრებული სიყვარულით მიმართავენ უკრაინელ ხალხს. უზომოა იმ განცდათა სიმძიმე, რომლებიც მას წილად ხვდა.

მაგრამ უკრაინელ ხალხს არასოდეს, ერთი წუთითაც არ დაუკარგავს თავისი განთავისუფლების რწმენა. ველურმა, მხეცურმა დევნამ ვერ გასტეხა მისი ამაყი სული. უკრაინამ იცის, რომ იგი მთლიანად კიდიდან კიდემდე თავისუფალი იქნება. უკრაინამ იცის, რომ წინ მიდიან წითელი არმიის დივიზიები...

დიდება გმირებს, უკრაინის განმათავისუფლებლებს!

ი. ს. კონევისა და მ. მ. პოპოვისათვის არმიის გენერლის სამხედრო წოდების მინიჭების შესახებ

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

მივანიჭოთ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 7 მაისის ბრძანებულებით დაწესებული სამხედრო წოდება არმიის გენერლისა

ივანე სტეფანეს-ძე კონევს

მარიან მიხეილის-ძე პოპოვს.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ი. სტალინი

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველი ი. ჩადაევი

მოსკოვი, კრემლი. 1943 წ. 26 აგვისტო.

თავდაცვის სახალხო კომისარიატისაგან

სამრძოლო პოსტზე ქ. იზიუმის რაიონში დაიღუპა სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტი პეტრე ვასილის-ძე ვოლოხი. სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით ამხ. ვოლოხის ხსოვნა უკვდავყოფილ იქნება ქ. იზიუმში მისთვის ძეგლის აგებით, სარატოვის მე-2 სატანკო სასწავლებლისათვის მისი სახელის მინიჭებით და ქალ. ენგელსში (ამხ. ვოლოხის სამშობლო) ერთ-ერთი ქუჩისათვის ვოლოხის სახელობის ქუჩის დარქმევით.

სსრ კავშირის მინათმოქმედების სახალხო კომისარიატში

საკოლმეურნეო მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობისათვის რაიონების სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების წინასწარი შედეგები

სსრ კავშირის მიწსახკომმა განიხილა საკოლმეურნეო მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობისათვის რაიონების სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების წინასწარი შედეგები და, შეჯიბრების პირობათა შესაბამისად, სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის გარდამავალი წითელი დროშისა და ფულადი პრემიების მიღების კანდიდატებად იმ 105 რაიონის-რიგსში, რომლებმაც საუკეთესო შედეგები აღწევეს პირუტყვის სულადობის ზრდის დარგში 1943 წლის პირველ ნახევარში და ბ)ადგილებით შეასრულეს საგაზაფხულო თესვის სახელმწიფო გეგმა, სსრ საქართველოს სსრ და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის შემდეგი რაიონები:

საქართველოს სსრ წალენჯიხის რაიონი
საქართველოს სსრ ჩხოროწყუს რაიონი
საქართველოს სსრ ზესტაფონის რაიონი
საქართველოს სსრ ორჯონიკიძის რაიონი
საქართველოს სსრ ასპინძის რაიონი
საქართველოს სსრ გურჯაანის რაიონი
საქართველოს სსრ წითელწყაროს რაიონი
სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ჯავის რაიონი.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

26 აგვისტოს ოპერაციული ცნობა

26 აგვისტოს განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც ხარკოვის დასავლეთით უტევენ, ცალკეულ უბნებზე წინ წაიწიეს 4-დან 6 კილომეტრამდე და რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავეს.

დონბასში, ვოროშილოვგრადის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე რაიონში, ჩვენი ჯარები ეწეოდნენ ბრძოლებს თავიანთი პოზიციების გასაუმჯობესებლად.

ფრონტის სხვა უბნებზე ჩვენი ჯარები საბრძოლო დაზვერვას ეწეოდნენ.

25 აგვისტოს განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 92 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და ხაზენიტა არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მტრის 38 თვითმფრინავი.

* * *

ხარკოვის დასავლეთით ჩვენი ჯარები გაანგრძობდნენ შეტევას და რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავეს. ერთი დასახლებული პუნქტისათვის ბრძოლებში 6 შეიარაღებული ნაწილებმა გაანადგურეს მტრის ორი ბატალიონი ქვეითი ჯარი. ხელთ ვიგდეთ 17 ქვემეხი, 69 ტყვიამფრქვევი, 45 ავტომანქანა და საომარ მასალათა საწყობი. წამოყვანილია ტყვეები. სხვა უბანზე საბჭოთა მებრძოლებმა ჰიტლერელთა არა ერთგზის მოტანილი კონტრიერიშები მოიგერიეს და დიდი ზარალი მიაყენეს მათ. მოსპობილია 800-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. დაზიანებული და დამწვარია მტრის 16 ტანკი. უკანდახეულ გერმანელთა კვალდაკვალ ჩვენი ქვეგანაყოფები დიდ დასახლებულ პუნქტში შეიჭრნენ და ქუჩებში ბრძოლებს ეწევიან.

ხარკოვის სამხრეთით 5 ნაწილის მებრძოლებმა გაიფთრებულ ბრძოლაში მოსპეს 600 ჰიტლერელი, დასწვეს მტრის 9 ტანკი და 2 თვითმავალი ქვემეხი.

გერმანელი დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლაში საბჭოთა მებრძოლები მამაცობასა და მაღალ საბრძოლო გაწვრთნილობას გვიჩვენებენ. ერთ უბანზე გერმანელთა 16 ტანკი ცდილობდა ფლანგიდან დაერტყა ჩვენი ნაწილისათვის. საფარში მყოფ ლეიტენანტ პარშინის ტანკმა სროლა ატეხა და მოსპო გერმანელთა 4 საშუალო ტანკი. რომლებიც კოლონის თავში მოდიოდნენ. შემდეგ ამხ. პარშინმა ცეცხლი გერმანელთა ძლიერ ტანკებზე გადაიტანა და „ვეფხვის“ ტიპის 3 ტანკი დააზიანა. მტრის დანარჩენმა მანქანებმა უკან დაიხიეს. გვარდიის მაიორ ბრალევის საარტილერიო ბატარეამ ერთს ბრძოლაში გერმანელთა 6 ტანკი და რამდენიმე ათეული ჰიტლერელი მოსპო. მფრინავმა-გამანადგურებელმა უფროსმა ლეიტენანტმა მიხეევმა ათი დღის განმავლობაში ჩამოაგდო მტრის 7 ბომბდამშენი და 2 ფაიაგამანადგურებელი.

* * *

დონბასში, ვოროშილოვგრადის სამხრეთ-დასავლეთით, ჩვენი ჯარები ეწეოდნენ ბრძოლებს თავიანთი პოზიციების გასაუმჯობესებლად. მტერმა ზედიზედ მოიტანა მთელი რიგი კონტრიერიშები, მაგრამ წარმატებას ვერ მიაღწია. 5 შინაარმიელ გაფთრებული ბრძოლებში მოსპო 1.200 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი და წამოიყვანა 120 ტყვე. მოსპობილია გერმანელთა 32 ტანკი, 43 ქვემეხი, მათ შორის 12 თვითმავალი ქვემეხი. მტერს წაართვეთ 7 ვარგისი ტანკი, 2 სარკინიგზო ეშელონი საომარ მასალიანად და სხვა სამხედრო ტვირთი.

* * *

იზიუმის სამხრეთით ჩვენმა ჯარებმა, იგერიებდნენ რა მტრის კონტრიერიშებს, მოსპეს გერმანელთა ერთ ბატალიონამდე ქვეითი ჯარი, დაიზიანეს და დაწვეს მტრის 16 ტანკი, 3 თვითმავალი ქვემეხი და 40 ავტომანქანა. ერთ უბანზე 12 წითელარმიელმა ლეიტენანტ ვესელოვის მეთაურობით ბრძოლა გაუმართა გერმანელთა ათ ტანკს. ჩვენმა მებრძოლებმა გრანატებით ფეხოსანთაგან გამოიყვანეს მტრის 4 ტანკი. გერმანელთა დანარჩენმა ტანკებმა პირვანდელს პოზიციებზე დაიხიეს.

* * *

ბრიანსკის მიმართულებით ჩვენი ქვეგანაყოფები სადაზვერვო მოქმედებას ეწეოდნენ. 5 ნაწილის მებრძოლები გერმანელთა სანგრებში შეიჭრნენ და გააფთრებული შეტაკების შედეგად დაიკავეს ისინი. ამ ბრძოლაში მოწინააღმდეგემ მოკლულთა სახით 100-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგა.

* * *

ლენინგრადის ფრონტზე ჩვენმა ქვეგანაყოფებმა გასწყვიტეს მტრის ორ ასეულამდე ქვეითი ჯარი, დაანგრიეს 23 ძელმეწური საცეცხლე წერტილი და 13 მეწური. ტანკისტებმა უფროს ლეიტენანტ ივანენკოს ბრძანებით სამი დღის განმავლობაში მოსპეს გერმანელთა 10 საველე ქვემეხი, დაზიანეს 2 თვითმავალი ზარბაზანი „ფერდინანდი“ და გასწყვიტეს მტრის რამდენიმე ათეული ქვეითი ჯარისკაცი.

* * *

წითელდროშოვანი ბალტიის ფლოტის ავიაციამ ფინეთის ყურეში ჩასძირა მოწინააღმდეგის სადარაჯო ხომალდი, სადარაჯო კატერი და საკანონერო ნავი.

* * *

14 აგვისტოს ღამით ორიოლის ოლქის ერთ-ერთ რაიონში პარტიზანულმა რაზმმა გაბედული თავდასხმა მოახდინა დიდ დასახლებულ პუნქტში დაბანაკებულ გერმანელთა გარნიზონზე. პარტიზანებმა მოულოდნელად მიუსწრეს მოწინააღმდეგეს, გასწყვიტეს 40 ჰიტლერელი და ტყვედ წამოიყვანეს 17 კაცი. საბჭოთა პატრიოტებმა დასწვეს საწვავის საწყობი, სურსათის საწყობი და გერმანელთა შტაბის სადგომი. ხელთ იგდეს სამხედრო ნაწილის დროშა. 2 ქვემეხი, 6 ტყვიამფრქვევი და 35 შაშხანა. სხვა რაზმის პარტიზანებმა მოსპეს საკონცენტრაციო ბანაკის მცველები და გაათავისუფლეს იქ მყოფი 130 საბჭოთა მოქალაქე.

* * *

ტყვედ წამოყვანილმა გერმანელმა ობერ-ეფრეიტორებმა ვილი ჩიბტერმა, გიუნტერ ფრიცშემ და ჰაინც დატემ (გერმანელთა 255-ე ქვეითი დივიზიის 255-ე საარტილერიო პოლკიდან) გვიამბეს: „ბორისოვკის რაიონში ჩვენი საარტილერიო პოლკი სხვა დივიზიების ნაწილებთან ერთად გარემოცვაში მოხვდა. რკალის გარღვევის ცდებს წარმატება არ მოჰყვა. რუსებმა მალე გაანადგურეს გერმანელთა გარშემორტყმული ნაწილები. ბევრი ჯარისკაცი ტყვედ დანებდა. ტყვეებს გერმანელთა ჯარების ზაფხულის შეტევის ჩაშლის შემდეგ ოფიცრები გვეუბნებოდნენ: „ჩვენ მარცხი განვიცადეთ და ზარალიც დიდი გვაქვს. მაგრამ ეს მხოლოდ ამაოდ როდია მიტანილი. ჩვენ დავასუსტეთ რუსები და თავიდან აიშორეთ მათი შემოტევაო“. მაგრამ ყოველივე ეს მარცხი როდი აღმოჩნდა. რუსი ჯარები შეტევაზე გადმოვიდნენ ფართო ფრონტზე, ხოლო გერმანელთა არმია უკან იხევს“.

ჩვენი ავიაციის თავდასხმები რკინიგზის კვანძებზე უნეჩასა და ნოვოზიბკოვზე, სადგურებზე ბარვენკოვოსა, ხარციზსკსა და ილოვაისკოზე და მოწინააღმდეგის აეროდრომებზე

24 აგვისტოს ღამით ჩვენმა ავიაციამ დაბომბა გერმანელთა სამხედრო ეშელონები და სამხედრო საწყობები რკინიგზის კვანძებზე უნეჩასა და ნოვოზიბკოვზე, სადგურებზე ბარვენკოვოსა, ხარციზსკსა და ილოვაისკოზე. დაბომბვის შედეგად მრავალი ხანძარი გაჩნდა. მეთვალყურეობით შემჩნეულია, რომ იწოდა მოწინააღმდეგის ათზე მეტი ეშელონი და მოხდა ბევრი ძლიერი აფეთქება.

იმავე ღამეს ჩვენი ავიაცია თავს დაესხა მოწინააღმდეგის მთელ რიგ აეროდრომებს. ბომბების აფეთქება შემჩნეულ იქნა საფრენოსნო მინდვრებსა და გერმანელთა თვითმფრინავების სადგომ ადგილებზე.

ჩვენი ავიაცია განაგრძობდა დარტყმებს გერმანელთა ჯარების შეუჯგუფებათა წინააღმდეგ ქალაქ ხარკოვის სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით.

ერთი ჩვენი თვითმფრინავი არ დაბრუნებულა თავის აეროდრომზე.

ხარკოვის სამხრეთით

მოქმედი არმია, 26 აგვისტო (საკუთარი სპეც. კორესპონდენტისაგან). ჩვენმა ნაწილებმა უკან მოიტოვეს მტრისათვის წართმეული ხარკოვი და შეტევითს ბრძოლებს გაგაგრძობენ გერმანიის ჯარები, რომლებიც ერთ ზლუდეზე გამაგრდნენ, შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევენ შემტევ ნაწილებს, ზედიზედ მოაქვთ გააფთრებული კონტრიერიშები, ცდილობენ რადაც უნდა დაუჯდეთ არ დაუშვან საბჭოთა ჯარების შემდგომი წინსვლა.

მთავარი ბრძოლები გაჩაღდა ტყიანი მასივის რაიონში და ერთ წყლის ზღუდეზე. გერმანელებმა დილიდანვე დაიწყეს კონტრიერიშები ქვეითი ჯარის ორი ასეულით, რომელთაც ტანკები ეხმარებოდნენ. ჰიტლერულებმა გამანადგურებელი პასუხი მიიღეს, ბევრი ჯარისკაცი დაჰკარგეს მოკლულთა სახით და უკან დაიხიეს. შემდგომ კონტრიერიშებს, რომელთაც საბჭოთა არტილერია გრიგალისებური ცეცხლით შეხვდა, მტერი ქვეითი ჯარის უფრო მცირე ძალებით ახორციელებდა, მაგრამ დიდძალი ტანკებით უწევდა დახმარებას. ცალკეულ შემთხვევებში ჩვენი ქვეგანაყოფების პოზიციებზე, რომელთაც თავდაცვის მცირე უბანი უკავიათ, 15-20 ტანკი მოდიოდა. მტრის ყველა კონტრიერიშში მოგერიებულ იქნა მისთვის დიდი ზარალის მიყენებით.

გერმანელთა დივიზიებს, რომლებიც დამარცხდნენ და ხარკოვიდან არიან განდევნილნი. კვლავ ძმიმე ზარალი მოსდით. გერმანელთა ერთი პოლკის დოკუმენტებიდან, რომლებიც ხელთ ვიგდეთ, სჩანს, რომ პოლკმა მცირე ხნის განმავლობაში 1.000-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგა მოკლულთა და დაჭრილთა სახით. „ოფიცერთა, უნტერ-ოფიცერთა და რიგითის შემადგენლობაში განცდილი დიდი ზარალის შედეგად, — სწერს პოლკის მეთაური თავის პატაკში, — ნაწილის საბრძოლო დონემ დაიწია. უკანასკნელ ხანს გამოგზავნილი შევსება საბრძოლო სიმძლავრის მხოლოდ არაარსებითს გადიდებას წარმოადგენს. ცალკეულ მებრძოლთა გაწვრთნილობის დონე პოლკში განუწყვეტლივ ეცემა“. ჩვენს მხარეზე გადმოსულმა გერმანელმა ჯარისკაცმა რალფ დ-მ გვაცნობა, რომ მის ასეულში დარჩა 6 კაცი, ხოლო მე-5, მე-7 და მე-8 ასეულებში—ათ-ათი ჯარისკაცი. ბატალიონის ოფიცერთა მთელი შემადგენლობა გამოყვანილია მწყობრიდან. ბატალიონი სხვა ქვეგანაყოფს შეუერთეს.

ჩვენი ნაწილები რომ შეცდომაში შეიყვანონ და დრო მოიგონ ახალი პოზიციების მოსაწყობად, გერმანელები, როგორც წესი, ყოველ დასაყრდენ პუნქტზე რამდენიმე ტყვიამფრქვეცს სტოვებენ, ხოლო ქვეითს ჯარს ზურგში იყენებენ ზღუდეების მოსამზადებლად. მზვერავთა დახმარებით ჩვენმა მეთაურებმა გამოიცნეს მტრის ეს ხერხი. ერთ უბანზე ვიწრო ტყიანს ხეობაში ძლიერი საფლანგო ცეცხლის დახმარებით საბჭოთა ქვეითებმა გადალახეს გერმანელთა პოზიციები და დაჰყრობილ ზღუდეზე ხელთ იგდეს რამდენიმე ტყვიამფრქვევი.

საბჭოთა ავიაცია წინანდებურად დიდი აქტივობით მოქმედებს. გუშინ დილით ძმიმე ბომბდამშენთა რამდენიმე დიდი ქვეგანაყოფი წარმატებით ბომბავდა გერმანელთა ჯარებს ბრძოლის ველზე და თავმოყრის ადგილებში. ჩვენი მფრინავები მოსვენებას არ აძლევენ ჰიტლერელებს.

ი. დენისოვი

საბჭოთა კავშირში

შორეული აღმოსავლეთის მშრომელებმა 1 მილიონი 300 ათასი მანეთი გაგზავნეს ორიოლსა და ხარკოვში სკოლებს, საავადმყოფოებისა და სბამავშვო სახლების აღსადგენად.

* * *

საბჭოთა სტერეოსკოპული კინოს გამომგონებელმა, სტალინური პრემიის ლაურეატმა ს. პ. ივანოვმა და რეჟისორმა ა. ნ. ანდრეევსკიმ შეიმუშავეს შუქმაღალი ეკრანების დამზადების, ახალი გაუმჯობესებული მეთოდი სტერეოსკოპულ (მოცულობითს) გამოსახულებათათვის. ეკრანი შესდგება 2.000 მიკროსკოპული კონუსური სხვადასხვა სიმრუდის ლინზისაგან.

* * *

კუბიშევის ოლქის, რვა რაიონის კოლმეურნეებმა სმოლეწმინის განთავისუფლებულ რაიონებს საზოგადოებრივი ჯოგიდან და პირადი სარგებლობის პირუტყვიდან გაუგზავნეს 215 ცხენი, 200 საზიდარი, 215 კომბლეტი აკაზმულობა და 100 გუთანი.

უკანასკნელი ცნობები

მოკავშირეთა ავიაციის მოქმედება

ახალი თავდასხმები ბერლინზე

ლონდონი, 26 აგვისტო (საკუთარი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, 24 და 25 აგვისტოს ღამით ინგლისის ბომბდამშენი ავიაციის თვითმფრინავებმა განიმეორეს თავდასხმები ბერლინზე.

უკანასკნელი ცნობებით, 23 აგვისტოს ღამით ბერლინის დაბომბვის დროს 50 წუთის განმავლობაში ქალაქს დააყარეს 1.700 ტონაზე მეტი ძმიმე ფუგასური და ცეცხლგამჩენი ბომბი. თავდასხმის შედეგად ბევრგან უდიდესი ხანძარი გაჩნდა, რომელთა შუქიც ქალაქიდან 200 მილზე მოსჩანდა. ამ ღამეს ბერლინზე თავდასხმაში მონაწილეობდა 700 ბომბდამშენი, რომელთაც მომსახურებას უწევდა 5.000 კაცი.

მოკავშირეთა ავიაციის სხვა შენაერთებმა იერიში მიიტანეს მტრის სამხედრო ობიექტებზე დანიასა, საფრანგეთსა, ჰოლანდიასა, სარდინიასა და იტალიაში.

საბჭოთა კავშირის გმირი გვარდიის მაიორი ჭ. ყ. ბენდელიანი

საბჭოთა კავშირის გმირი
გვარდიის მაიორი ჭ. ყ. ბენდელიანი

ქართველი ხალხის სახელოვანი შვილები ჩვენი დიადი სამშობლოს ღირსების, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში ამაცობის, გამბედაობისა და თავდადების მიმეორებენ ჩვენ. ჩვენებენ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით წითელი არმიის სამხედრო-საჰაერო ძალების ოფიცერს — ჰიკიკო ყაისარის-ძე ბენდელიანს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

ამხ. ბენდელიანს დიდი ხანია დამსახურებული აქვს გამბედავი და მამაცი მფრინავის სახელი. გასული წლის ივნისში საქართველოს სახელოვანმა შვილმა რამდენიმე დღის განმავლობაში საჰაერო ბრძოლებში პირადად მოსპო მტრის 2 თვითმფრინავი და ჯგუფურ ბრძოლებში — 6 ფაშისტური სხვა.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საბჭოთა კავშირის გმირების „ოქროს ვარსკვლავის“ მეორე მედლით დაჯილდოების შესახებ

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის, რაც საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების უფლებას იძლევა,—დაჯილდოებულ იქნან საბჭოთა კავშირის გმირები „ოქროს ვარსკვლავის“ მეორე მედლით, გაკეთდეს მათი ბრინჯაოს ბიუსტები და დაიდგას კვარცხლბეკზე დაჯილდოებულ პირთა სამშობლოში:

1. მაიორი მიხეილ ზაქარიას-ძე ბონდარენკო
2. კაპიტანი დიმიტრი ბორისის-ძე ბლინკა
3. გვარდიის კაპიტანი ვიქტორ მაქსიმეს-ძე გოლუბევი
4. გვარდიის კაპიტანი ვასილ სერგის-ძე ეფრემოვი
5. გვარდიის პოდპოლკოვნიკი ვასილ ალექსანდრეს-ძე ზაიცევ
6. გვარდიის მაიორი პეტრე აფანასის-ძე პოკრიშევი
7. გვარდიის მაიორი ალექსანდრე ივანეს-ძე პოკრიშკინი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1943 წ. 24 აგვისტო.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

წითელი არმიის სამხედრო-საჰაერო ძალების ოფიცრებისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისა და ამასთან მამაცობისა და გმირობის გამოჩენისათვის მიენიჭოთ საბჭოთა კავშირის გმირის წოდება და გადაეცეთ ლენინის ორდენი და მედალი „ოქროს ვარსკვლავი“:

1. კაპიტან ივანე ივდეის-ძე ავეკოვს
2. გვარდიის უმცროს ლეიტენანტ ნიკოლოზ მიხეილის-ძე ალექსეევს
3. გვარდიის კაპიტან ალექსი ვასილის-ძე ალელიუხინს
4. გვარდიის კაპიტან სულთან ამეტ-ხანს
5. კაპიტან იაკობ ივანეს-ძე ანდრიუშინს
6. მაიორ გრიგოლ ივანეს-ძე არმაშევს
7. კაპიტან ვასილ დიმიტრის-ძე ბალაშოვს
8. გვარდიის კაპიტან ივანე თეოდორეს-ძე ბალიუკს
9. უმცროს ლეიტენანტ მიხეილ სიმონის-ძე ბარანოვს
10. გვარდიის მაიორ პიჭიკო ყაისარის-ძე ბენდელიანს
11. ლეიტენანტ ივანე ფროლოვის-ძე ბობეშევს
12. უმცროს ლეიტენანტ ანდრია იაგორის-ძე ბოროვიხს
13. უფროს ლეიტენანტ კონსტანტინე გრიგოლის-ძე ვიშნევეცკი
14. მაიორ ვიქტორ თეოდორეს-ძე ვორონოვს
15. გვარდიის კაპიტან ივანე მოსეს-ძე გერმანს
16. გვარდიის კაპიტან ალექსი ალექსის-ძე გუბანოვს
17. გვარდიის კაპიტან ნიკოლოზ პავლეს-ძე დმიტრიევს
18. გვარდიის უფროს ლეიტენანტ ევგენი პეტრეს-ძე დრანიშნიკოვს

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

25 აგვისტოს ოპერაციული ცნობა

25 აგვისტოს განმავლობაში ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევის განვითარებას ხარკოვის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე რაიონში და დაიკავეს 60-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის ქალაქი ზენკოვი. ქალაქი ახტირკა, რომელიც რამდენჯერმე გადადიოდა ხელიდან ხელში, გააფთრებული ბრძოლების შემდეგ კვლავ დაიკავეს ჩვენმა ჯარებმა.

დონბასში, იზიუმის სამხრეთით და ვოროშილოვგრადის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე რაიონებში ჩვენი ჯარები სძლევდნენ მტრის შეუპოვარ წინააღმდეგობას, განაგრძობდნენ შეტევის ბრძოლებს და კვლავ დაიკავეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი, ამასთან მნიშვნელოვნად გაიუმჯობესეს პოზიციები.

24 აგვისტოს განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 104 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 98 თვითმფრინავი.

* * *

ხარკოვის ჩრდილო-დასავლეთით ჩვენი ჯარები წარმატებით ანვითარებდნენ შეტევას და დაიკავეს 60-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის ქალაქი ზენკოვი. ამ პუნქტებისათვის ბრძოლებში მოსპობილია 1.000-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, დამწვარი და დაზიანებულია მტრის 17 ტანკი.

ხარკოვის დასავლეთით 6 შენაერთის მებრძოლები ბრძოლებით მიიწევდნენ წინ და მოსპეს მოწინააღმდეგის 31 ტანკი, 4 ჯავშნიანი მანქანა და 15 თვითმავალი ქვემეხი. ხელთ ვიგდეთ სხვადასხვა ყალიბის 18 ქვემეხი, საომარ მასალათა საწყობი და ბევრი სასროლი საჭურველი.

ხარკოვის სამხრეთით მტერი, თავს იცავს რა დანაღმული ველებით, შეუპოვარ წინააღმდეგობას გვიწევს და ხშირად გადმოდის კონტრიერიშებზე. იგერიებდნენ რა ჰიტლერელთა კონტრიერიშებს, ჩვენმა ჯარებმა წინწაიწიეს და ხელსაყრელი პოზიციები დაიკავეს. ერთი დღის ბრძოლებში მოსპობილია გერმანელთა 800 ჯარისკაცი და ოფიცერი, 5 ტანკი და რამდენიმე თვითმავალი ქვემეხი. ხელთ ვიგდეთ ვაგონი და ტყვეები.

* * *

დონბასში, ვოროშილოვგრადის სამხრეთ-დასავლეთით, ჩვენი ჯარები შეტევითს ბრძოლებს ეწეოდნენ. მოწინააღმდეგემ თავი მოუყარა ტანკების დიდ ძალებს და განთიადისას კონტრიერიშში მოიტანა ჩვენს ნაწილებზე. საბჭოთა მებრძოლებმა გადამჭრელი დარტყმით უკუაქციეს გერმანელები და, წაიწიეს რა წინ, დიაკვეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი. მოსპობილია მტრის 1.000-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი, დაზიანებული და დამწვარია გერმანელთა 23 ტანკი, 16 სხვადასხვა ქვემეხი და მოსპობილია 130 ტყვიამფრქვევი. წამოყვანილია 100-ზე მეტი ტყვე. სხვა უბანზე, ანვიფარებდნენ რა შეტევას, ჩვენმა ნაწილებმა დაიკავეს მტრის წინააღმდეგობის მთელი რიგი კვანძები, მათ შორის რკინიგზის დიდი სადგური. მოწინააღმდეგემ დიდი ზარალი განიცადა ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

* * *

იზიუმის სამხრეთით ჩვენმა ჯარებმა გასტეხეს მტრის გააფთრებული წინააღმდეგობა და დაიკავეს გერმანელთა წინააღმდეგობის მთელი რიგი დიდი კვანძები. განსაკუთრებით შეუპოვარი ბრძოლები გაიმართა ერთი დასახლებული პუნქტისათვის. 6 შენაერთის მებრძოლებმა მოწინააღმდეგის ორმოცამდე კონტრიერიშში მოიგერიეს, დასახლებულ პუნქტში შეიჭრნენ და ქუჩებში გაჩაღებული ბრძოლების შემდეგ ხელთ იგდეს იგი. მოსპობილია 900 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, 18 ტანკი, 3 ჯავშნიანი მანქანა, 4 თვითმავალი ქვემეხი და 12 საველე ქვემეხი. მოწინააღმდეგეს წაგართვით 3 ტანკი, 19 ქვემეხი და ბევრი სხვა დაგლა. მაღლობზე მდებარე სხვა დასაყრდენი პუნქტის აღებისას საბჭოთა მებრძოლებმა გაჟლიტეს 600 ჰიტლერელი, ხელთ იგდეს ერთი ტანკი, 10 ქვემეხი, 300 ველოსიპედი, ბევრი სამარა მასალა და სხვადასხვა სამხედრო ქონება.

საჰაერო ბრძოლებში ჩვენმა მფრინავებმა ჩამოაგდეს გერმანელთა 31 თვითმფრინავი.

* * *

ბრიანსკის მიმართულებით აქტიურად მოქმედებდნენ ჩვენი გაძლიერებული მზვერავი ჯგუფები. ერთ უბანზე 6 ნაწილის ქვეგანყოფები შეიჭრნენ მოწინააღმდეგის სანგრებში და ხელჩართულ შეტაკებაში მოსპეს ჰიტლერელთა ასეული. ჰიტლერელები შეეცადნენ დაებრუნებინათ დაკარგული პოზიციები და კონტრიერიშზე გადმოვიდნენ, მაგრამ ტყვიამფრქვევის ჯვარედინ ცეცხლში მოხვდნენ. გერმანელებმა მარტო მოკლულთა სახით დაჰკარგეს 200 ჯარისკაცი და ოფიცერი და უწესრიგოდ დაიხიეს უკან.

ჩვენმა მფრინავებმა საჰაერო ბრძოლებში დღის განმავლობაში ჩამოაგდეს მოწინააღმდეგის 22 თვითმფრინავი.

* * *

ლენინგრადის ფრონტზე ჩვენმა სნაიპერებმა გაჟლიტეს 140 ჰიტლერელი. სერჟანტმა ივანოვმა და წითელარმიელმა რახინოვამ დღის განმავლობაში მიაკვლიეს და მოჰკლეს 7 გერმანელი. სერჟანტმა კოტეენკოვმა მოსპო მტრის ორი სნაიპერი. საბჭოთა არტილერისტებმა და ნაღმტყორცნელებმა დაანგრიეს მოწინააღმდეგის 26 ძელმიწური საცეცხლე წერტილი, 19 ბლინდაჟი და 7 სათვალთვალო პუნქტი.

* * *

ჩვენმა ავიაციამ ბარენცის ზღვაში ჩასძირა მოწინააღმდეგის მცველი ხომალდი და დააზიანა მისი ტრანსპორტი.

* * *

ვიტებსკის ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედმა პარტიზანულმა რაზმმა აგვისტოში ლიანდაგიდან გადაადგო გერმანელთა 5 ეშელონი. მოსპობილია 70 ვაგონი საომარ მასალაზე და 4 პლატფორმა ქვემეხებიანად. ამავე რაზმის პარტიზანებმა შეაღწიეს რკინიგზის სადგურში და ააფეთქეს 3 ცისტერნი საწვავიანად.

* * *

ქვემოთ ქვეყნდება აქტი საშინელი ბოროტმოქმედების შესახებ, რაც გერმანელმა ფაშისტმა კაციჭამიებმა ხარკოვის ოლქის სოფელ სტრელეჩიეში ჩაიდინეს: „1941 წლის ნოემბრის დამდეგს გერმანელებმა დაიკავეს სოფელი სტრელეჩიე. პირველსავე დღეებში მათ გაძარცვეს სტრელეჩიის ფსიქიატრიული საავადმყოფოს სასურსათო მარაგი და ავადმყოფთ შიმშილით სიკვდილი განუმზადეს. 21 ნოემბერს საავადმყოფოში მოვიდა ჰიტლერელთა რაზმი. გერმანელ მეავტომატეებს ათ-ათი კაცისაგან შემდგარ ჯგუფებად გაპყავდათ ავადმყოფები სანგრებთან და იქ ხვრეტდნენ მათ. იმ ავადმყოფებს, რომლებსაც თვითონ სიარული არ შეეძლოთ, გერმანელები ძალით მიათრევდნენ, ორმოებში ყრიდნენ და ჰკლავდნენ. ორ დღეს გაგრძელდა ფაშისტი ჯალათების სისხლიანი ხალადობა უმწეო ავადმყოფ ადამიანთა მიმართ. ჰიტლერელმა არამზადებმა მოჰკლეს სულ 435 კაცი, მათ შორის 180 მამაკაცი და 255 ქალი. ფაშისტმა მკვლელებმა გაანადგურეს საავადმყოფო, გაიტანეს 1.500 სპბანი, 3.000 ზეწარი, 4.000 წყვილი საცვალი, 500 საწოლი და ბევრი სხვა ქონება“. აქტს ხელს აწერენ: საავადმყოფოს უფროსი ექიმი მ. გოლოვკო, სანიტარი ქალები მ. შეგინკო, ლ. ციმბული, ნ. ბაიდუკოვა, ე. სარაგა, ფერშალი ქალები ა. კუზმენკო, ა. კოსტნოვა, მედიცინის და ვ. კალმიკოვა.

ამერიკული პრესა წითელი არმიის მიერ ხარკოვის დაკავების შესახებ

ნიუ-იორკი, 24 აგვისტო (საკადესი). ამერიკულმა გაზეთებმა თვალსაჩინო ადგილებზე მსხვილი სათაურებით გამოაქვეყნეს ცნობა წითელი არმიის მიერ ხარკოვის დაკავების შესახებ. გაზეთებმა აგრეთვე მოათავსეს უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის მარშალის ამხანაგ სტალინის ბრძანება წითელი არმიის ამ ახალ გამარჯვებასთან დაკავშირებით.

გაზეთი „ნიუ-ბორკ ჰერალდ ტრიბიუნი“ მოწინავე სტატიაში სწერს, რომ წითელი არმიის მიერ ხარკოვის დაკავება საბჭოთა საზაფხულო შეტევის უდიდეს გამარჯვებას წარმოადგენს. ამ გამარჯვების სიდიადეს ხაზს უსვამს ის, რომ გერმანელები გააფთრებულ წინააღმდეგობას ეწეოდნენ, ცდილობდნენ რა ქალაქის შენარჩუნებას. გერმანელებს ესმოდათ, რომ ხარკოვის დატოვება სერიოზულ საფრთხეს შეუქმნის მათს პოზიციებს და წაართმევს მათ მნიშვნელოვან სარკინიგზო კომუნიკაციას. მაგრამ რუსების მიწოლა ძლიერდებოდა, და უკანასკნელ მომენტში, უაზროთ დაჰკარგეს რა უამრავი ხალხი, გერმანელებმა „განახორციელეს“,—როგორც ისინი ამბობენ,—კიდევ ერთი „გეგმიანი გადასვლა ახალ პოზიციებზე“.

გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ აგრეთვე აღნიშნავს, რომ საბჭოთა ჯარების მიერ ხარკოვის დაკავება პირველხარისხოვანი მნიშვნელობის „სამხედრო დამარცხებას მოასწავებს გერმანელებისათვის. რუსების მიერ ხარკოვის განთავისუფლება, ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს მიმომხილველის აზრით, ერთ-ერთ უდიდეს გამარჯვებას წარმოადგენს საბჭოთა კავშირ-გერმანიის ომის მთელი დროის განმავლობაში. გაზეთები აღნიშნავენ, რომ წითელი არმიის ახალ წარმატებას სერიოზული სტრატეგიული შედეგები მოჰყვება.

ამერიკის რადიოს მრავალრიცხოვან მიმოხილვებშიც ხაზგასმულია საბჭოთა იარაღის გამარჯვების დიდი მნიშვნელობა.

ჟურნალ „ტაიმსის“ მიმომხილველი, რომელიც რადიოთი გამოვიდა სან-ფრანცისკოში, დასცინის გერმანელთა მტკიცებას იმის შესახებ, რომ ხარკოვი საომარი თვალსაზრისით მნიშვნელოვან პუნქტს აღარ წარმოადგენსო. მიმომხილველი მოაგონებს, რომ მანამდე, სანამ გერმანიის ჯარები ხარკოვს ინარჩუნებდნენ გერმანული პროპაგანდა პირდაპირ საწინააღმდეგოს ამტკიცებდა.

ნიუ-იორკის რადიოს გადაცემაში ნათქვამია, რომ ხარკოვის დაკავება წარმოადგენს რუსთა იარაღის სახელოვან გამარჯვებას და ამავე დროს გერმანიის ჯარების უდიდეს დამარცხებას. გერმანელებმს ძლიერ გაამაგრეს ხარკოვი იმ იმედით, რომ ამ სიმაგრეებს შეემსხვრეოდა რუსთა ყველა იერიში, მაგრამ გერმანელთა გეგმები ჩაიფუშა. მიუხედავად გერმანელთა ხელმძღვანელობის ყველა ღონისძიებისა. საბჭოთა ჯარებმა გასტეხეს მტრის წინააღმდეგობა და ძლევამოსილად შეეიდნენ უკრაინის მეორე დედაქალაქში.

(მიღებულია რადიოთი საქრადიოკომიტეტის მიერ).

რაც შეიძლება სწრაფად აღვადგინოთ ცხოვრება განთავისუფლებულ რაიონებში!

განთავისუფლებული რაიონების მეურნეობის აღდგენისათვის

თბილისის საორთქლმავლო დეპოს მუშა-მოსამსახურეები სსრ კავშირის სახკომსაბჭოსა და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „გერმანელთა ოკუპაციისაგან განთავისუფლებულ რაიონებში მეურნეობის აღდგენის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ“ კონკრეტული საქმეებით უპასუხებენ.

გამოქვეყნდა თუ არა დადგენილება გაზეთებში, დეპოს აგიტატორები შეუდგნენ საუბრების ჩატარებას ცალკეულ საამქროებში. № 1448 ორთქლმავლის კომკავშირულ ბრიგადაში საუბარი ჩაატარა ბრიგადის წევრმა აგიტატორმა ი. ფხაკაძემ. ბრიგადამ გადაწყვიტა ჰიტლერელი ავაზაკებისაგან განთავისუფლებული რაიონების რკინიგზებისათვის შეეგროვოს საზეინკლო იარაღები. 26 აგვისტოს დილისათვის ბრიგადას უკვე შეგროვებული ჰქონდა 70 ცალი იარაღი. ბრიგადის სურვილით ეს იარაღები ერთ-ერთ განთავისუფლებულ რკინიგზის დეპოს კომკავშირულ ბრიგადას გაეგზავნება. გარდა საზეინკლო და სახარატო იარაღების დამზადებას.

განსაკუთრებული მონდომებით მუშაობენ ჯგუფები, რომლებსაც ოსტატები ალ. ჯაფარიძე და გ. ლოტოევი ხელმძღვანელობენ.

26 აგვისტოსათვის სასწავლებლის მიერ უკვე დამზადებული იყო 40 ცალი სხვადასხვა იარაღი. იარაღების დამზადება გრძელდება.

რკინიგზის № 1 სასწავლებელში

რკინიგზის № 1 სასწავლებლის (დირექტორი ა. ყურაშვილი) კოლექტივი, რომელიც აგიტატორების საშუალებით გაეცნო სსრ კავშირის სახკომსაბჭოსა და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „გერმანელთა ოკუპაციისაგან განთავისუფლებულ რაიონებში მეურნეობის აღდგენის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ“, შეუდგა განთავისუფლებული რკინიგზებისათვის სამისა, კომკავშირული ბრიგადა განთავისუფლებული რაიონების მშრომელებისათვის აგროვებს ლიტერატურას.

საგარეცხვო საამქროს კომკავშირულ-ახალგაზრდულ ბრიგადაში საუბარი ჩაატარა აგიტატორმა დ. ჭავჭანიძემ. სტახანოველ ზეინკალ კომუნისტ ამხ. ბ. ტურაშვილის წინადადებით ბრიგადა შეუდგა საზეინკლო ხელსაწყოების შეგროვებას. დეპოს სახარატო საამქრო, სადაც დადგენილების გარშემო საუბარი ჩაატარა აგიტატორმა ს. სანაძემ, განთავისუფლებული რაიონების რკინიგზებისათვის სახარატო იარაღებს აგროვებს.

დეპოს კოლექტივი, ფართოდ გამოეხმაურა სსრ კავშირის სახკომსაბჭოსა და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ამ უმნიშვნელოვანეს დადგენილებას, განთავისუფლებული რაიონების რკინიგზებისათვის აღდგენითი შეკეთებიდან უახლოეს ხანში გამოუშვებს 4 ორთქლმავალს, შეაგროვებს ორთქლმავლის სამარაგო ნაწილებს, საზეინკლო და სახარატო იარაღებს.

რუზველტისა და ჩერჩილის ერთობლივი დეკლარაცია

კვებეკის კონფერენციის დახურვა

ლონდონი, 24 აგვისტო (საკადესი). რეიტერის სააგენტომ გადმოსცა შემდეგი სრული ტექსტი ოფიციალური ერთობლივი დეკლარაციისა, რომელიც დღეს კვებეკში გამოაქვეყნეს ჩერჩილმა და რუზველტმა:

„ინგლის-ამერიკის სამხედრო თათბირმა, რომელიც გაიხსნა 11 აგვისტოს კვებეკში კანადის მთავრობის სტუმართმოყვარეობის მეოხებით, ამჟამად თავისი მუშაობა დაამთავრა. ოპერაციათა მთელი მსოფლიო ასპარეზი განხილულ იქნა იმ მრავალ ხელსაყრელ შოვლენათა გათვალისწინებით, რომლებსაც ადგილი ჰქონდა პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის შეხვედრის შემდეგ, რაც მაისის დამლევს ვაშინგტონში შესდგა. მიღებულ იქნა საჭირო გადაწყვეტილებანი, რათა უზრუნველყოფილ იქნას ორივე ქვეყნის ფლოტების, არმიებისა და სამხედრო-საჰაერო ძალების პროგრესიული მოქმედება. იმის გათვალისწინებით, რომ ეს ძალები ერთმანეთშია შერეული განუწყვეტელ მოქმედებაში მტრის წინააღმდეგ დედამიწის სხვადასხვა ნაწილებში, საჭიროა, რომ ომის ხელმძღვანელობის სათავეში დაცულ იქნას მიზნისა და შეთოდის სრული ერთიანობა. იმის მიზეზვით, რაც უფრო გაფართოვდება და გაღრმავდება ამერიკის შეერთებული შტატების და ბრიტანეთის ერთა თანამეგობრობისა და იმპერიის სამხედრო ღონისძიებანი, საჭირო გახდება სხვა თათბირებიც, შესაძლოა, უფრო მცირე ხნის შემდეგ, ვიდრე აქამდე იყო. მებრძოლ ჯარებს არავითარ დახმარებას არ გაუწევდა მიღებულ გადაწყვეტილებათა შესახებ რაიმე დეკლარაციის გამოქვეყნება. ეს დადგენილებანი შესაძლებელია გამოვლინებულ იქნან მხოლოდ მოქმედებაში. მაგრამ შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ შტაბების ხელმძღვანელთა სამხედრო მოლაპარაკება მნიშვნელოვნად შეეხებოდა ომს იაპონიის წინააღმდეგ და ჩინეთისათვის ეფექტური დახმარების გაწევას. გენერალისიმუს ჩან კაიშის წარმომადგენელმა ტ. ვ. სუნმა (სუნ �-ენმა) მონაწილეობა მიიღო მოლაპარაკებაში ამ მხრივ ისევე, როგორც ევროპის შესახებ, პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრს შესაძლებლობა ჰქონდათ მიეღოთ და მოეწონებინათ გაერთიანებული შტაბების უფროსთა ერთსულოვანი რეკომენდაციები. სწორედ ასევე მიღწეულ იქნა შეთანხმება იმ აქტუალურ პოლიტიკურ საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია საომარ ოპერაციებთან ან გამომდინარეობს მათგან. გადასწყდა მომდინარე წლის დამლევამდე მოწვეულ იქნას ინგლისის და ამერიკის ხელისუფალთა კიდევ ერთი თათბირი, გარდა ყოველი სამმხრივი შეხვედრისა, რის მოწყობაც შესაძლებელი იქნება საბჭოთა რუსეთთან. საბჭოთა მთავრობას წარედგინება სრული მოხსენებანი გადაწყვეტილებათა იმ ნაწილის შესახებ, რომელიც შეეხება გერმანიისა და იტალიის წინააღმდეგ ომს. თათბირის დროს განხილულ იქნა საფრანგეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტთან ურთიერთობის საკითხი. ფიქრობენ, რომ მთავრობათა განსაზღვრული რიცხვი მიმდინარე კვირის დამლევისათვის დეკლარაციით გამოვა“.

რუზველტისა და ჩერჩილის განცხადებანი საერთო პრეს-კონფერენციაზე

ნიუ-იორკი, 24 აგვისტო. ასოშიეიტედ-პრესის სააგენტოს კვებეკელი კორესპონდენტის ცნობით, რუზველტისა და ჩერჩილის საერთო პრეს-კონფერენციაზე ჩერჩილმა გამოსთქვა იმედი, რომ მომავალი კვირეებისა და თვეების ამბები გაამართლებენ იმ დიდ მოუთმენობას, რომელიც კვებეკში შემდგარ კონფერენციაზე იქნა გაწეული. ჩერჩილმა აღნიშნა, რომ ამჟამად შექმნილი ვითარება მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა იმ დღეებთან შედარებით, როდესაც იგი რუზველტს შეხვდა კასაბლანკაში ან ვაშინგტონში მიმდინარე წლის მაისში. დამთავრდა ახალი დიდი ოპერაცია და ამჟამად მთელი სიცილია დამორჩილებულია.

ჩერჩილმა განაცხადა, რომ იგი წინასწარ სჯერეს დიდ ღონისძიებებს, რომლებიც მიღებული იქნება მოწინააღმდეგეების ზედიზედ დამარცხების მიზნით.

კონფერენციამ კვებეკში დიდი და სერიოზული მიღწევები მოიპოვა.

მოიხსენია რა უპირატესობა საჭურველისა და საომარი მასალის მხრივ, რასაც მოკავშირეებმა მიაღწიეს, და მზარდი წარმატებანი წყალქვეშა ნავების წინააღმდეგ ბრძოლის მხრივ ატლანტიკაში, ჩერჩილმა აღნიშნა, რომ ინგლისი და შეერთებული შტატები შესძლებენ მთელი თავიანთი ძალები გამოიყენონ მტრის წინააღმდეგ და დარტყმები დაემთხვევა საუცხო ოპერაციებს, რომლებსაც რუსი მოკავშირე ატარებს. კონფერენცია კვებეკში ერთ-ერთი გარკვეული მიჯნაა იმ პერიოდისაკენ მომავალ გზაზე, როდესაც მსოფლიოში ბოლო მოეღება უბედურებებს.

ასოშიეიტედ-პრესის სააგენტოს კორესპონდენტის სიტყვით, რუზველტმა პრესის წარმომადგენლებთან საუბარში განაცხადა, რომ მარტო შეიარაღებულ ძალებს არ ძალუძთ მოიგონ ომი. მთა უნდა დაეხმარონ მრეწველობის უაღრესად მნიშვნელოვანი დარგების მუშები. ყველა მოკავშირე ქვეყანა უდიდეს ძალღონეს ხმარობს, რასაც დახმარება უნდა გაეწიოთ, უმაღლეს დონეზე.

აღნიშნა რა, რომ ზოგიერთი შეტევითი მოქმედების მოსამზადებელად საჭიროა კვირეები და თვეებიც კი, რუზველტმა თქვა, რომ როდესაც იგი ჩერჩილს შეხვდა 1942 წლის ივნისში, მდგომარეობა მეტად მძიმედ სჩანდა, ვინაიდან მოკავშირეებს მთელ მსოფლიოში ეკავათ თავდაცვითი პოზიციები. მაგრამ თათბირზე იმ დროს დამუშავებულ იქნა გეგმა ჩრდილოეთ აფრიკაში შეჭრისა ნოემბერში. კასაბლანკაში იანვარში შემდგარმა კონფერენციამ დაამუშავა გეგმები, რომლებიც განხორციელებულ იქნა ტუნისსა და სიცილიაში. „შეიძლება კვიპროსიც დოთა,—დასძინა რუზველტმა,—რომ ახლა ამას ახალი მოვლენები მოჰყვება“.

* * *

პრეზიდენტმა რუზველტმა კანადის პარლამენტის წევრებს მიმართა სიტყვით, რომელშიც, აღნიშნა მა ამერიკული ქვეყნების როლი თანამედროვე მსოფლიოში, განაცხადა:

ჩვენ არ ვყოფილვართ ამ ომის ინიციატორები. და ეს სიტყვა „ჩვენ“ შეიცავს უკლებლივ ყველა გაერთიანებულ ერს. ომი ჩვენ ძალით მოგვახვიეს თავზე დამნაშავე აგრესორებმა, რომლებმაც თავიანთ მორალურ საზომად აირჩიეს მასშტაბები სიკვდილისა და ნგრევისა, რაც მათ შეუძლიათ მიაყენონ თავიანთ მეზობლებს. ამ ომში კანადელები და ამერიკელები მხარდამხარ იბრძვიან ისევე, როგორც მშვიდობიანობის უფრო ბედნიერ დღეებში ჩვენი მამაკაცები, ჩვენი ქალები და ჩვენი ბავშვები ერთად შრომობდნენ და ისვენებდნენ. დღეს ჩვენ ვდღესასწაულობთ ბრწყინვალე გამარჯვებას, რომელიც ბრიტანეთის, კანადისა და ამერიკის ჯარებმა სიცილიაში მოიპოვეს.

ერთი წლის წინათ იაპონიამ დაიკავა ბევრი კუნძული ალეუტის კუნძულებიდან ოკეანის ჩრდილს ნაწილში და ასტეხა დიდი ხმაური ამერიკის კონტინენტზე შეჭრის შესახებ. მე, სამწუხაროდ, უნდა ვთქვა, რომ ზოგიერთ ამერიკელსა და ზოგიერთ კანადელს უნდოდა, რომ ჩვენს მთავრობებს უარი ეთქვათ კამპანიაზე ატლანტიკასა და ხმელთაშუა ზღვაში და მთელი ჩვენი დიდი შეერთებული ძალები გამოეყენებინათ იმისათვის, რომ გაერეკათ იაპონელები წყნარი ოკეანის ჩრდილოეთი ნაწილის რამდენიმე პატარა კლდოვანი კუნძულიდან.

დღეს ჩვენი უფრო ბრძნული გადაწყვეტილებანი უზრუნველყოფენ ჩვენი ძალების განუწყვეტლივ მზარდ დაძაბვას ატლანტიკასა და ხმელთაშუა ზღვაში, ჩინეთის ზღვებში და წყნარი ოკეანის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, ხოლო წყნარი ოკეანის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში შედარებით მცირე კამპანიის ჩატარებისას ჩვენ დაგვეხმარნენ თვით იაპონელები ატუს და კისკის კუნძულებიდან უკლებლივ ყველა იაპონელის მომორებაში. ჩვენ გვეუბნებოდნენ, იაპონელები არასოდეს არ ნებდებიანო, მაგრამ ეს თავქუდმოგლეჯილი გაქცევაც ჩვენ საკუთარი გეგაკმაყოფილებს.

გადაუხადა რა მადლობა კანადის მოსახლეობას სტუმართმოყვარეობისათვის, რუზველტმა განაგრძო:

კვებეკში უკანასკნელი დღეების განმავლობაში გაერთიანებული შტაბები მართავდნენ სხდომებს, რაც კარგ ჩვეულებას წარმოადგენს, როგორც მეგობრები, როგორც პარტნორები, შემძლია ვთქვა, როგორც ერთი ოჯახის წევრები, საუბრობდნენ და განიხილავდნენ იმ ზომებს, რომლებიც მიღებულ უნდა იქნას. ჩვენ კონსტრუქციულ ასპექტში ვსაუბრობდით ამ ომში ჩვენი საერთო მიზნების შესახებ, ჩვენი მტკიცე გადაწყვეტილების შესახებ მივაღწიოთ გამარჯვებას რაც შეიძლება მოკლე ვადაში, ვსაუბრობდით ჩვენს დიდ და მამაც მებრძოლ მოკავშირეებთან ჩვენი ერსებითი თანამშრომლობის შესახებ. და ჩვენ ჰარმონიულად მივედით ზოგიერთ გარკვეულ დასკვნამდე. ცხადია, რომ მე არ შემძლია ზუსტად გადაგიშალოთ, თუ როგორია ეს დასკვნები, მაგრამ სათანადო დროს ჩვენ გადაეცემთ გერმანიას, იტალიასა და იაპონიას საიდუმლო ცნობებს კვებეკში შედგარი თათბირიდ, შესახებ. ამ ცნობებს ჩვენს მტრებს გადაეცემთ ერთად-ერთ ენაზე, რომლის გაგებაც, როგორც სჩანს, შეუძლია მათ მახინჯ გონებას. ზოგჯერ მე მსურდა, რომ ინტუიციის ამ დიდ ოსტატს—ნაციოსტთა მეთაურს შესძლებოდა უხლოვად დასწრებოდა თათბირს კვებეკში. მე ძლიერ მობარული ვარ, რომ იგი იქ პირადად არ ესწრებოდა. მან და მისმა გენერლებმა რომ იცოდნენ ჩვენი გეგმები, ისინი თავიანთ თავს ანგარიშს მისცემდნენ იმაში, რომ მორიდებულობა ჯერ კიდევ მაინც წარმოადგენს სიმამაცის საუკეთესო ელემენტს და რომ კაპიტულაცია მათთვის უფრო ხელსაყრელი იქნებოდა ახლა, ვიდრე უფრო გვიან.

ჩვენი მტრები,—თქვა შემდეგ რუზველტმა,—ყოველი საშუალებით ცდილობენ, რომ ყალბად წარმოადგინონ კვებეკის თათბირის მიზნები და შედეგები. ისინი ჯერ კიდევ მაინც ცდილობენ დაპყონ და დაეუფლონ ნოკავშირეებს, რომლებსაც იმდენადვე არ სურთ დაყოფილ იქნან, როგორც არ სურთ, რომ მათ დაეუფლონ. ჩვენს ენერგიას, ჩვენს რესურსებს და ჩვენი ვაჟებისა და ქალიშვილების სიცოცხლესაც კი ჩვენ ვხარჯავთ იმისათვის, რომ ყაჩაღთა ბრბო ერთა საზოგადოებაში უარს ამბობს სკნოს კეთილშესაფერი ადამიანური ქცევის ძირითადი პრინციპები. ჩვენ იძულებული შევიქენით მიგვემართა მათი დასმარებისათვის, ვისაც ჩვენ—ამერიკელები ვუწოდებთ შერიფს და მის აგენტებს, რათა გაგვეფანტა ეს ბრბო, რათა აღმოგვეფხვრა ბანდიტიზმი ერთა საზოგადოებაში. ჩვენ მიეიდეთ იმ გზით, რომ ამასლუტურად და ამჟამად საბოლოოდ უზრუნველყოთ ჩვენთვის შესაძლებლობა ერთხელ და სამუდამოდ ვასწავლოთ მათ ჭკუა. ამჟღერად ჩვენ მართლაც თავიდან მოვიშორებთ კანონს გარეშე მდგომ ადამიანებს. ყოველ გაერთიანებულ ერს სწამს ჭეშმარიტი და ხანგრძლივი მშვიდობიანობა და ამართლებს ჩვენს მიერ გაღებულ მსხვერპლს, და ჩვენ ერთსულოვნად გვწამს, რომ მიეაღწევთ ამ მიზანს.

საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რომ კვებეკში ბევრი რამ ითქვა ომისშემდგომი მშვიდობიანობის შესახებ. უეჭველია, რომ ეს დისკუსია ერთსა და იმავე დროს სწარმოებდა ათეულობით ქვეყნებში, ასეულობით ქალაქებში და მილიონობით ადამიანებს შორის. ჰაერში იგრძნობა პოუეშენელი მისწრაფება. ლაპარაკია არა იმისადმი დაბრუნების მოუთმენელ მისწრაფებაზე, რასაც „ძველი კარგი დრო“ ეწოდებოდა. მე გარკვევით ვეუბები ამ ძველი კარგი დროის სიკარგის ხარისხს. მე ვამჯობინებ მწამდეს, რომ ჩვენ შეეძლებთ ახალი და უფრო უკეთესი დროების შექმნას. აბსოლუტური გამარჯვება ამ ომში მსოფლიოს მისცემს საუკეთესო შესაძლებლობებს იმიტომ, რომ ომში გამარჯვება ჩვენ ყველას გარკვეულად დაგვიმტკიცებს, რომ კონცენტრირებულ მოქმედებას შეუძლია მიიყვანოს საქმე წარმატებით დამთავრებამდე.

თავისი სიტყვის დასკვნითს ნაწილში რუზველტმა დამსწრეთ მეტად მოკლედ მიმართა ფრანგულ ენაზე და განაცხადა, რომ მისმა პირველმა გამეზავრებამ ისტორიულ ქალაქ კვებეკში გაახსენა მას, რომ კანადა ორი დიდი ხალხის ერთიანობაზე დაფუძნებულ ქვეყანას წარმოადგენს.

(მიღებულია რადიოთი საქრადიოკომიტეტის მიერ).

ახალი დანიშვნები გერმანიაში

ჰიმლერი აღჭურვილია საგანგებო რწმუნებებით

ჟენევა, 25 აგვისტო (საკადესი). ბერლინში ოფიციალურად არის გამოცხადებული შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტიდან ფრიკის განთავისუფლების შესახებ. მის ნაცვლად შინაგან საქმეთა მინისტრად და გენერალურ რწმუნებულად გერმანიის ადმინისტრაციის დარგში დანიშნულია ჰიმლერი „სს“-ის ხელმძღვანელისა და გერმანიის პოლიციის უფროსის თანამდებობაზე დატოვებით.

ამნაირად, ჰიმლერი აღჭურვილია საგანგებო რწმუნებებით. როგორც ადგილობრივ ეკონომისტთა წრეებში აღნიშნავენ, ეს მოწმობს შინაპოლიტიკური კრიზისის მკვეთრ გამწვავებას გერმანიაში.

ძაძაბული მდგომარეობა დანიაში

პრესის ცნობებით, გერმანიის ჯარებმა ოკუპაცია უყვეს კოპენჰაგენის ყველა რაიონს. გერმანელთა ხატანგო და ქვეითი ჯარის ნაწილები, რომელთაც ქალაქის ცენტრი დაიკავეს, სასპორტო სტადიონებზე დაბანაკდნენ.

კოპენჰაგენის ქუჩებში მოხდა დიდი ინციდენტები, რომლებიც გამოიწვია ქალაქში ეგრეთწოდებული „მოხალისეების“ ჯგუფის გამოჩენამ, რომლებიც ჰიტლერელებმა შეაგროვეს სისხლის სამართლის ყოველგვარი ნაძირალებისაგან (სსრ კავშირის წინააღმდეგ საბრძოლველად. ქუჩებში დაუყოვნებლივ გამოჩნდნენ ჰიტლერელთა „სს“-ლების რაზმები, რომლებმაც ხიშტებით გაპფანტეს დანიელები. ქალაქ ოდენსში ერთმა გერმანელმა ოფიცერმა რევოლვერის სროლა აუტეხა დანიელთა ჯგუფს და ამასთან ერთი ბავშვი დასჭრა. ჰიტლერელი ხალხმა სასიკვდილოდ გასთელა.

დანიის რადიოს ცნობით კოპენჰაგენში დანგრეულია უდიდესი დარბაზი დანიაში „ფორუმი“. იგი 16.000 კაცს იტევდა.

რიკენბეკერი საბჭოთა კავშირში მოგზაურობის მიღებულ შთაბეჭდილებათა შესახებ

ნიუ-იორკი, 24 აგვისტო (საკადესი). ოფიციალურ ანგარიშში სსრ კავშირში თვითმფრინავის მოგზაურობის შესახებ, რაც ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო მინისტრ სტიმსონის დავალებით მოახდინა, ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო სამინისტროს წარმომადგენელმა ბ. ანმა რიკენბეკერმა განაცხადა, რომ თვითონ ან კუიბიშევში „ყოფნის დროს იგი სიამოვნებით ხედავდა რუსეთის მიწებს, რ